

---

---

ქენევის 1949 წლის 12 აპრისტოს კონვენციის  
დამატებითი ოქმი არასაერთაშორისო ხასიათის  
შეიარაღებული კონფლიქტების  
მსხვერპლთა დაცვის შესახებ (II ოქმი)

---

---

*1977 წლის 8 ივნისი*

ჟენევის 1949 წლის კონვენციები და მათი დამატებითი ოქმები.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, 2008 წ. 390 გვ.

ჟენევის ოთხი კონვენცია წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელთა მონაწილეც თითქმის ყველა სახელმწიფოა.

კონვენციები იცავს მოქმედ ჯარში დაჭრილებსა და ავადმყოფებს, საზღვაო შეიარაღებულ ძალებში დაჭრილებს, ავადმყოფებსა და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილ პირებს, სამხედრო ტყვეებს, აგრეთვე, სამოქალაქო მოსახლეობას, რომელიც საერთაშორისო კონფლიქტის დროს აღმოჩნდა უცხო სახელმწიფოს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე. ჟენევის ოთხივე კონვენციისათვის საერთო მე-3 მუხლი უზრუნველყოფს არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა მინიმალურ დაცვას.

I დამატებითი ოქმი ეხება და განსაზღვრავს საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს და ადგენს სამხედრო მოქმედებების შედეგებისაგან სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის პრინციპებს. II დამატებითი ოქმი ავსებს და ავრცობს არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა დაცვის პრინციპს. III დამატებითი ოქმი კი ეხება დამატებითი განმასხვავებელი ემბლემის მიღებას.

წითელი ჯვრის  
საერთაშორისო კომიტეტი  
2008 წელს



ICRC

**ქენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციების დამატებითი ოქმი  
არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების  
მსხვერპლთა დაცვის შესახებ (II ოქმი)**

პრეამბულა ..... 321

**ნაწილი I**

**წინამდებარე ოქმის ბამოყენების სფერო**

მუხლი 1 – გამოყენების ძირითადი სფერო ..... 321  
 მუხლი 2 – ცალკეულ პირთა მიმართ გამოყენების სფერო ... 322  
 მუხლი 3 – ჩაურევლობა ..... 322

**ნაწილი II**

**ადამიანური მოპყრობა**

მუხლი 4 – ძირითადი გარანტიები ..... 322  
 მუხლი 5 – თავისუფლება შეზღუდული პირები ..... 324  
 მუხლი 6 – სისხლისსამართლებრივი დევნა ..... 325

**ნაწილი III**

**ლაჭრილები, ავადმყოფები და ხომალდის დაღუპვაში**

**მოყოლილი პირები**

მუხლი 7 – მფარველობა და ზრუნვა ..... 326  
 მუხლი 8 – ძებნა ..... 326  
 მუხლი 9 – სამედიცინო და სასულიერო პერსონალის დაცვა 327  
 მუხლი 10 – სამედიცინო ფუნქციების შემსრულებელ პირთა  
 ზოგადი დაცვა ..... 327  
 მუხლი 11 – სამედიცინო ფორმირებათა და სანიტარულ-  
 სატრანსპორტო საშუალებების დაცვა ..... 327  
 მუხლი 12 – განმასხვავებელი ემბლემა ..... 328

**ნაწილი IV**

**სამოქალაქო მოსახლეობა**

მუხლი 13 – სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა ..... 328  
 მუხლი 14 – სამოქალაქო მოსახლეობის საარსებოდ  
 აუცილებელი ობიექტების დაცვა ..... 328  
 მუხლი 15 – სახიფათო ძალის შემცველი დანადგარებისა და  
 ნაგებობების დაცვა ..... 328  
 მუხლი 16 – კულტურული ფასეულობებისა და  
 დვთისმსახურების ადგილების დაცვა ..... 329  
 მუხლი 17 – სამოქალაქო პირების იძულებითი გადაადგილების  
 აკრძალვა ..... 329  
 მუხლი 18 – დახმარების საზოგადოებები და დახმარების  
 ოპერაციები ..... 329

ნაწილი V  
დასკვნითი დებულებები

მუხლი 19	-	გავრცელება .....	330
მუხლი 20	-	ხელმოწერა .....	330
მუხლი 21	-	რეტიფიკაცია .....	330
მუხლი 22	-	მიერთება .....	330
მუხლი 23	-	ძალაში შესვლა .....	330
მუხლი 24	-	შესწორებები .....	330
მუხლი 25	-	დენონსაცია .....	330
მუხლი 26	-	შეტყობინებები .....	331
მუხლი 27	-	რეგისტრაცია .....	331
მუხლი 28	-	ავთენტური ტექსტები .....	331

## პრეამბულა

*მაღალი ხელშეკრული მხარეები,*

*შეახსენებენ რა, რომ* ქენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციებისათვის საერთო მე-3 მუხლში გადმოცემული ჰუმანიტარული პრინციპები საფუძვლად უდევს ადამიანის პიროვნების პატივისცემას შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, რომელიც საერთაშორისო ხასიათს არ ატარებს,

*შეახსენებენ რა, რომ* საერთაშორისო დოკუმენტები ადამიანის უფლებების შესახებ უზრუნველყოფენ ადამიანის პიროვნების ძირითად დაცვას,

*სახს უსვამენ რა, ამგვარი შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა უკეთ დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობას,*

*შეახსენებენ რა, რომ* მოქმედი სამართლებრივი ნორმებით გაუთვალისწინებულ შემთხვევებში ადამიანის პიროვნება რჩება ჰუმანურობის პრინციპებისა და საზოგადოებრივი შეგნების მოთხოვნათა დაცვის ქვეშ,

*შეთანხმდნენ შემდეგზე:*

## ნაწილი I

### წინამდებარე ოქმის ბამოყენების სფერო

#### **მუხლი 1 – გამოყენების ძირითადი სფერო**

1. წინამდებარე ოქმი, რომელიც ავითარებს და ავსებს ქენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციებისათვის საერთო მე-3 მუხლს, მისი გამოყენების არსებული პირობების შეუცვლელად, გამოიყენება ყველა შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რომელიც არ ექვემდებარება საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ ქენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციების (I) დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მოქმედებას და რომელიც ხდება რომელიმე მაღალი ხელშეკრული მხარის ტერიტორიაზე მის შეიარაღებულ ძალებსა და მთავრობის საწინააღმდეგო ძალებს ან სხვა ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფებს შორის, რომლებიც იმყოფებიან რა პასუხისმგებელი მეთაურობის განკარგულებაში, ახორციელებენ კონტროლს ქვეყნის ტერიტორიის ნაწილზე ისე, რომ საშუალება აქვთ განახორციელონ უწყვეტი და შეთანხმებული საომარი მოქმედებანი და გამოიყენონ ეს ოქმი.

2. წინამდებარე ოქმი არ გამოიყენება შიდა არეულობებისა და დაძაბულობის შემთხვევებში, როგორცაა ამბობება, ძალადობის ცალკეული და

სპორადული აქტები და სხვა ანალოგიური ქმედებები, რამდენადაც ასეთი შემთხვევები შეიარაღებულ კონფლიქტს არ წარმოადგენს.

## **მუხლი 2 – ცალკეულ პირთა მიმართ გამოყენების სფერო**

1. წინამდებარე ოქმი გამოიყენება ყველა პირის მიმართ, რომელსაც შეეხო პირველ მუხლში განმარტებული შეიარაღებული კონფლიქტი, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის ან აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან სხვა სტატუსის, ან რომელიმე სხვა მსგავს კრიტერიუმებზე (შემდგომში „არაკეთილსასურველი/საზიანო განსხვავება“) დამყარებული არაკეთილსასურველი განსხვავების გარეშე.

2. შეიარაღებული კონფლიქტის დასრულებისას ყველა პირი, რომელთაც ასეთ კონფლიქტთან დაკავშირებული მიზეზით აღკვეთილი ან შეზღუდული ჰქონდათ თავისუფლება, აგრეთვე ის პირები, რომელთაც ამავე მიზეზით შეეზღუდათ ან აღკვეთათ თავისუფლება კონფლიქტის შემდეგ, ისარგებლებენ მე-5 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული დაცვით თავისუფლების ამგვარი აღკვეთის ან შეზღუდვის პერიოდის დასრულებამდე.

## **მუხლი 3 – ჩაურევლობა**

1. არაფერი ამ ოქმში არ უნდა განიმარტოს, როგორც სახელმწიფოს სუვერენიტეტის ან მთავრობის მოვალეობის ხელყოფა, ყველა კანონიერი საშუალებით შეინარჩუნოს ან აღადგინოს მართლწესრიგი სახელმწიფოში და დაიცვას სახელმწიფოს ერთობა და ტერიტორიული მთლიანობა.

2. არაფერი ამ ოქმში არ უნდა განიმარტოს, როგორც რაიმე მიზეზის გამო მაღალი ხელშემკვრელი მხარის საშინაო ან საგარეო საქმეებში, ან მის ტერიტორიაზე მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტში პირდაპირ ან არაპირდაპირ ჩარევის გამართლება.

## **ნაწილი II**

### **აღამიანური მოპქრობა**

## **მუხლი 4 – ძირითადი გარანტიები**

1. ყველა პირს, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობს ან რომელმაც შეწყვიტა მონაწილეობა საომარ მოქმედებებში, მიუხედავად იმისა, შეზღუდულია თუ არა მისი თავისუფლება, უფლება აქვს პატივი სცენ მის პიროვნებას, ღირსებას, შეხედულებებსა და რელიგიურ რწმენას. ნებისმიერ ვითარებაში მათ უნდა მოეპყრონ აღამიანურად, ნებისმიერი არაკეთილსასურველი განსხვავების გარეშე. აკრძალულია “ცოცხლად არ აყვანის” ხასიათის ბრძანების გაცემა.

2. ზემოაღნიშნული საერთო დებულებებისადმი ზიანის მიყენების გარეშე ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას აკრძალულია და აკრძალული იქნება პირველ მუხლში მითითებული პირების მიმართ შემდეგი ქმედებების განხორციელება:

- (ა) პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის ხელყოფა, კერძოდ მკვლელობა, აგრეთვე ისეთი სასტიკი მოპყრობა, როგორცაა წამება, დასახინჩრება ან სხეულებრივი სასჯელების ნებისმიერი ფორმა;
- (ბ) კოლექტიური დასჯა;
- (გ) მძევლად აყვანა;
- (დ) ტერორიზმის აქტები;
- (ე) პიროვნების ღირსების შებღალვა, კერძოდ დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი მოპყრობა, გაუპატიურება, იძულებითი პროსტიტუცია და უხამსი ხელყოფის ნებისმიერი ფორმა;
- (ვ) მონობისა და მონებით ვაჭრობის ყველა ფორმა;
- (ზ) ძარცვა;
- (თ) ზემოაღნიშნული ქმედებებიდან ნებისმიერის ჩადენის მუქარა.

3. ბავშვებს უზრუნველყოფენ აუცილებელი მზრუნველობითა და დახმარებით, კერძოდ:

- (ა) ისინი მიიღებენ განათლებას, რელიგიური და ზნეობრივი აღზრდის ჩათვლით, მათი მშობლების სურვილის ან მშობლების არარსებობის შემთხვევაში იმ პირთა სურვილისამებრ, რომლებიც პასუხს აგებენ მათ მზრუნველობაზე;
- (ბ) მიიღება ყველა შესაბამისი ზომა დროებით განცალკევებული ოჯახების გასაერთიანებლად;
- (გ) თხუთმეტი წლის ასაკს მიუღწევებელ ბავშვებს არ გამოიძახებენ შეიარაღებულ ძალებში ან დაჯგუფებებში და მათ აკრძალვებათ საომარ მოქმედებებში მონაწილეობა;
- (დ) თხუთმეტი წლის ასაკს მიუღწეველი ბავშვების მიმართ ამ მუხლით გათვალისწინებული განსაკუთრებული დაცვა გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი (გ) ქვეპუნქტის დებულებათა მიუხედავად საომარ მოქმედებებში უშუალოდ მონაწილეობენ და ტყვედ ვარდებიან;
- (ე) საჭიროების შემთხვევაში და შეძლებისდაგვარად მათი მშობლების ან იმ პირთა თანხმობით, რომელნიც კანონით ან წესჩვეულების თანახმად უპირველეს ყოვლის პასუხს აგებენ მათ მზრუნველობაზე, მიიღება ზომები საომარი მოქმედების რაიონებიდან ბავშვების დროებითი ევაკუაციისათვის ქვეყნის შიდა, შედარებით უსაფრთხო რაიონებში და იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათ თან ახლდეთ მათ უსაფრთხოებაზე და კეთილდღეობაზე პასუხისმგებელი პირები.

## მუხლი 5 – თავისუფლებაშეზღუდული პირები

1. მე-4 მუხლის დებულებათა დამატებით, იმ პირთა მიმართ, რომელთაც შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული მიზეზების გამო თავისუფლება შეეზღუდათ, მიუხედავად იმისა ინტერნირებულნი არიან თუ დაკავებულნი, დაცული იქნება, სულ მცირე, შემდეგი დებულებანი:

(ა) დაჭრილებსა და ავადმყოფებს მოეპყრობიან მე-7 მუხლის შესაბამისად;

(ბ) ამ მუხლში აღნიშნულ პირებს, ისევე, როგორც ადგილობრივ სამოქალაქო მოსახლეობას, მოამარაგებენ სურსათითა და სასმელი წყლით, უზრუნველყოფენ პირობებს მათი ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და ჰიგიენის დასაცავად, აგრეთვე მკაცრი კლიმატური პირობებისა და შეიარაღებული კონფლიქტების საფრთხისაგან დასაცავად;

(გ) მათთვის ნებადართულია ინდივიდუალური ან კოლექტიური დახმარების მიღება;

(დ) ნებადართული იქნება რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესრულება და შესაბამისი თხოვნის შესაბამისად, როცა ეს მიზანშეწონილია, სულიერი დახმარების მიღება ისეთი პირებისაგან, როგორცაა მაგალითად რელიგიური ფუნქციების შემსრულებელი კაპელანი;

(ე) მუშაობისას მათ უზრუნველყოფენ შრომის ისეთივე პირობებითა და გარანტიებით, რომლითაც სარგებლობს ადგილობრივი სამოქალაქო მოსახლეობა.

2. ისინი, ვინც პასუხს აგებს პირველ პარაგრაფში ხსენებულ პირთა ინტერნირებაზე ან დაკავებაზე, თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში დაიცავენ ასეთ პირებთან დაკავშირებულ შემდეგ დებულებებს:

(ა) იმ შემთხვევის გარდა, როცა ერთი ოჯახის წევრი მამაკაცები და ქალები ერთად თავსდებიან, ქალები და მამაკაცები ცალ-ცალკე შენობებში განთავსდებიან და ქალები ქალთა უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ იქნებიან;

(ბ) ნებადართული იქნება წერილებისა და საფოსტო ბარათების გაგზავნა და მიღება, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია, რომ უფლებამოსილმა ორგანომ შეზღუდოს მათი რაოდენობა;

(გ) ინტერნირებისა და დაკავების ადგილები საომარი მოქმედებების ზონის მახლობლად არ უნდა განლაგდეს. პირველ პარაგრაფში ხსენებული პირები უნდა იყვნენ ევაკუირებული, თუ მათი ინტერნირების ან დაკავების ადგილებს შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად საფრთხე ემუქრება და თუ შესაძლებელია, რომ აღნიშნული ევაკუაცია განხორციელდეს უსაფრთხოების ადეკვატურ პირობებში;

(დ) ისარგებლონ სამედიცინო გამოკვლევების ჩატარების უფლებით;

(ე) ზიანი არ უნდა მიადგეს ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ხელშეუხებლობას ნებისმიერი გაუმართლებელი მოქ-



მედების ან დაუდევრობის შედეგად. შესაბამისად, იკრძალება ამ მუხლში აღნიშნულ პირთა მიმართ რაიმე სამედიცინო პროცედურების ჩატარება, რომლის აუცილებლობა არ არის გამოწვეული მათი ჯანმრთელობის მდგომარეობით და არ პასუხობს საყოველთაოდ მიღებულ იმ სამედიცინო ნორმებს, რომელიც ანალოგიურ ვითარებაში გამოიყენება თავისუფალ პირთა მიმართ.

3. პირები, რომლებზეც პირველი პარაგრაფის დებულებანი არ ვრცელდება, მაგრამ რომელთა თავისუფლებაც შეიზღუდა შეიარაღებული კონფლიქტიდან გამომდინარე რაიმე მიზეზით, სარგებლობენ ადამიანური მოპყრობით მე-4 მუხლისა და ამ მუხლის 1(ა), (გ), (დ) და 2(ბ) პუნქტების შესაბამისად.

4. თუ მიიღება გადაწყვეტილება თავისუფლება აღკვეთილ პირთა განთავისუფლების შესახებ, ისინი, ვინც ამ გადაწყვეტილებას მიიღებენ, ამ პირთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ზომებს გაატარებენ.

### **მუხლი 6 – სისხლისსამართლებრივი დევნა**

1. ეს მუხლი გამოიყენება შეიარაღებულ კონფლიქტებთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი დანაშაულების სასამართლო წესით დევნისას და დამნაშავეთა დასჯისას.

2. არ იქნება გამოტანილი არც ერთი განაჩენი და დამნაშავეს არ დაეკისრება სასჯელი, თუ გადაწყვეტილება არ არის გამოტანილი მხოლოდ იმ სასამართლოს მიერ, რომელიც დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ძირითად გარანტიებს უზრუნველყოფს. კერძოდ:

(ა) პროცედურა უნდა ითვალისწინებდეს ბრალდებულის დაუყოვნებლივ ინფორმირებას იმ დანაშაულის დეტალების შესახებ, რომლის ჩადენაც მას ბრალად ედება; ბრალდებული, სასამართლომდე და სასამართლოს დროს, დაცვის ყველა აუცილებელი უფლებითა და საშუალებით უნდა სარგებლობდეს;

(ბ) სამართალდარღვევისათვის მსჯავრის დადება დასაშვებია მხოლოდ ინდივიდუალური სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველზე;

(გ) არც ერთი პიროვნება არ იქნება აღიარებული დამნაშავედ იმ დანაშაულის გამო, იქნება ეს ჩადენილი ქმედებითა თუ უმოქმედობით, რომელიც მისი ჩადენის დროისათვის არ წარმოადგენდა სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას; აგრეთვე არ შეიძლება იმაზე უფრო მკაცრი სასჯელის დაკისრება, ვიდრე სამართალდარღვევის ჩადენის დროს მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით იყო გათვალისწინებული; თუ სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ კანონი უფრო მსუბუქ სასჯელს დაადგენს, დამნაშავეზე ამ კანონის მოქმედება გავრცელდება;

(დ) ყოველი ეჭვიმტანილი პირი, კანონის შესაბამისად მისი ბრალის დადგენამდე ითვლება უდანაშაულოდ;

(ე) ყოველ ბრალდებულს სასამართლოს წესით საქმის განხილ-

ვის მისი თანდასწრებით წარმართვის მოთხოვნის უფლება აქვს; (ვ) დაუშვებელია პიროვნების იძულება მისცეს საკუთარი თავის საწინააღმდეგო ჩვენება ან იძულებით აღიაროს ბრალი.

3. განაჩენის გამოტანის დროს მსჯავრდებულს უნდა ეცნობოს მისი განაჩენის სასამართლოს ან სხვა წესით გასაჩივრების უფლება და ვადა, რომლის განმავლობაში მას შეუძლია აღნიშნული უფლების გამოყენება.

4. დაუშვებელია სასიკვდილო განაჩენის გამოტანა იმ პირთა მიმართ, რომელთაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის არ შესრულებიათ თვრამეტი წელი, ასევე დაუშვებელია განაჩენის აღსრულება ფეხმძიმე ქალებისა და მცირეწლოვანი შვილების დედების მიმართ.

5. საომარი მოქმედებების დასრულებისას მმართველი ორგანოები შეეცდებიან, რაც შეიძლება ფართო ამნისტია მიანიჭონ შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე და იმ პირებს, რომელთაც თავისუფლება აღეკვეთათ შეიარაღებულ კონფლიქტებთან დაკავშირებული მიზეზების გამო, განურჩევლად იმისა, ინტერნირებულნი არიან ისინი, თუ დაკავებულნი.

### ნაწილი III

#### დაჭრილები, ავადმყოფები და ხომალდის დაღუპვაში მყოფი პირები

##### მუხლი 7 – მფარველობა და ზრუნვა

1. ყველა დაჭრილი, ავადმყოფი და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილი პირი, მიუხედავად იმისა, მონაწილეობდა თუ არა შეიარაღებულ კონფლიქტში, უნდა სარგებლობდეს პატივისცემითა და დაცვით.

2. ყველგან და ყოველთვის მათ უნდა ეპყრობოდნენ ადამიანურად. შეძლებისამებრ და უმოკლეს ვადაში მათ უზრუნველყოფენ სამედიცინო დახმარებითა და მოვლით, რომელსაც მათი მდგომარეობა საჭიროებს. დაუშვებელია მათი განსხვავება სამედიცინო მოსაზრებებისაგან განყენებული მიზეზების გამო.

##### მუხლი 8 – ძებნა

არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით, განსაკუთრებით კი შეტაკების შემდეგ, დაუყოვნებლივ უნდა იქნას მიღებული ყველა შესაძლო ზომა დაჭრილთა, ავადმყოფთა და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილ პირთა მოსაძებნად და გადასაყვანად, მათი ძარცვისა და ცუდი მოპყრობისაგან დასაცავად, საჭირო მოვლით უზრუნველსაყოფად და გარდაცვლილთა მოსაძებნად მათი გაძარცვის მცდელობის აცილებისა და სათანადოდ დაკრძალვის მიზნით.

### **მუხლი 9 – სამედიცინო და სასულიერო პერსონალის დაცვა**

1. სამედიცინო და სასულიერო პერსონალი უნდა სარგებლობდეს პატივისცემითა და დაცვით, ხოლო მოვალეობების შესრულებისას კი უნდა მიიღონ საჭირო დახმარება. დაუშვებელია პერსონალის იძულება შეასრულოს მის ჰუმანიტარულ მისიასთან შეუსაბამო საქმიანობა.

2. დაუშვებელია იმის მოთხოვნა, რომ თავისი ფუნქციების შესრულებისას სამედიცინო პერსონალმა უპირატესობა მიანიჭოს რომელიმე პირს, გარდა სამედიცინო მიზანშეწონილობით ნაკარნახევი შემთხვევებისა.

### **მუხლი 10 – სამედიცინო ფუნქციების შემსრულებელ პირთა**

#### **ზოგადი დაცვა**

1. დაუშვებელია სამედიცინო პერსონალის დასჯა მათ მიერ განხორციელებული, სამედიცინო ეთიკის შესაბამისი, სამედიცინო ფუნქციების შესრულების გამო, მიუხედავად იმისა, თუ რომელმა პირმა ისარგებლა აღნიშნული დახმარებით.

2. დაუშვებელია სამედიცინო ფუნქციების შემსრულებელ პირთა იძულება განახორციელონ ქმედებები ან შეასრულონ სამუშაო, რომელიც არღვევს სამედიცინო ეთიკისა და დაჭრილთა და ავადმყოფთა ინტერესების დამცავ ნორმებს ან ამ ოქმის დებულებებს, ასევე დაუშვებელია პერსონალის იძულება თავი შეიკავონ ამ ნორმებითა და დებულებებით გათვალისწინებული ქმედებების შესრულებისაგან.

3. ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით, პატივი უნდა სცენ სამედიცინო ფუნქციების შემსრულებელ პირთა პროფესიულ ვალდებულებებს, რომელიც დაკავშირებულია მათი მზრუნველობის ქვეშ მყოფი დაჭრილებისა და ავადმყოფების შესახებ ინფორმაციის მიღებასთან.

4. ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით, არც ერთი სამედიცინო ფუნქციის შემსრულებელი პირი არ შეიძლება დაისაჯოს მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ან ნამყოფი დაჭრილებისა და ავადმყოფების შესახებ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისა და ინფორმაციის გაუცემლობის გამო.

### **მუხლი 11 – სამედიცინო ფორმირებათა და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების დაცვა**

1. სამედიცინო ფორმირებანი და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებანი ნებისმიერ დროს პატივისცემითა და დაცვით სარგებლობენ და არ შეიძლება გახდნენ თავდასხმის ობიექტი.

2. დაცვა, რომლითაც სარგებლობს სამედიცინო ფორმირებები და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებები, მხოლოდ იმ შემთხვევაში წყდება, თუ იგი მტრული მოქმედებების განსახორციელებლად გამოიყენება. თუმცა, დაცვა შეწყდება მხოლოდ გაფრთხილების შემდგომ, რომელიც, საჭიროებისამებრ, გონივრულ ვადას ადგენს, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამგვარი გაფრთხილება არ იქნა მხედველობაში მიღებული.

## **მუხლი 12 – განმასხვავებელი ემბლემა**

შესაბამისი კომპეტენტური ხელისუფლების კონტროლით გათვალისწინებულია სამედიცინო ან სასულიერო პერსონალის, სამედიცინო ფორმირებებისა და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების მიერ თეთრ ფონზე წითელი ჯვრის, წითელი ნახევარმთვარის ან წითელი ლომისა და მზის განმასხვავებელი ემბლემის ტარება ან თვალსაჩინო ადგილზე გამოფენა. ემბლემა ნებისმიერ გარემოებაში პატივისცემით სარგებლობს. დაუშვებელია ემბლემის არადანიშნულებისამებრ გამოყენება.

## **ნაწილი IV**

### **სამოქალაქო მოსახლეობა**

#### **მუხლი 13 – სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა**

1. სამოქალაქო მოსახლეობა და ცალკეული სამოქალაქო პირები სარგებლობენ სამხედრო ოპერაციების შედეგად წარმოშობილი საფრთხისაგან ზოგადი დაცვით. ამ დაცვის განხორციელების მიზნით, ყოველგვარ ვითარებაში დაცული უნდა იყოს შემდეგი ნორმები.

2. დაუშვებელია სამოქალაქო მოსახლეობაზე, აგრეთვე ცალკეულ სამოქალაქო პირებზე თავდასხმის განხორციელება. აკრძალულია ძალადობის აქტები ან ძალადობის მუქარა, რომლის ძირითადი მიზანია სამოქალაქო მოსახლეობაში შიშის გავრცელება.

3. სამოქალაქო პირები სარგებლობენ ამ ნაწილით გათვალისწინებული დაცვით გარდა იმ შემთხვევისა და პერიოდისა, როცა ისინი უშუალოდ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში.

#### **მუხლი 14 – სამოქალაქო მოსახლეობის საარსებოდ აუცილებელი ობიექტების დაცვა**

აკრძალულია სამოქალაქო მოსახლეობაში შიმშილის, როგორც საომარი მოქმედების წარმართვის მეთოდის გამოყენება. ამიტომ, აკრძალულია ამ მიზნით სამოქალაქო მოსახლეობის საარსებოდ აუცილებელი ობიექტების – საკვების მარაგის, სურსათის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო რაიონების, ნათესების, საქონლის, სასმელი წყლით მომარაგების ნაგებობებისა და მათი მარაგის, აგრეთვე საირიგაციო ნაგებობების განადგურება, მათზე თავდასხმა, მათი გადატანა ან მწყობრიდან გამოყვანა.

#### **მუხლი 15 – სახიფათო ძალის შემცველი დანადგარებისა და ნაგებობების დაცვა**

სახიფათო ძალის შემცველი დანადგარები და ნაგებობები, კერძოდ კი კაშხალები, დამბები და ატომური ელექტროსადგურები არ უნდა გახდეს თავდასხმის ობიექტი იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი სამ-

ხედრო ობიექტს წარმოადგენენ, თუ ამგვარმა თავდასხმამ შეიძლება სახიფათო ძალთა გამოთავისუფლება და სამოქალაქო მოსახლეობაში თანმდევი მძიმე დანაკარგები გამოიწვიოს.

### **მუხლი 16 – კულტურული ფასეულობებისა და ღვთისმსახურების ადგილების დაცვა**

შეიარაღებული კონფლიქტების დროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ 1954 წლის 14 მაისის ჰააგის კონვენციის დებულებებისათვის ზიანის მიუყენებლად, აკრძალულია მტრული მოქმედებების განხორციელება იმ ისტორიული ძეგლების, ხელოვნების ნიმუშების ან ღვთისმსახურების ადგილების მიმართ, რომელიც ხალხთა კულტურულ ან სულიერ მემკვიდრეობას წარმოადგენს, ასევე დაუშვებელია ამგვარი ობიექტების გამოყენება სამხედრო მიზნების მისაღწევად.

### **მუხლი 17 – სამოქალაქო პირების იძულებითი გადაადგილების აკრძალვა**

1. არ უნდა გაიცეს ბრძანება კონფლიქტთან დაკავშირებული მიზეზებით სამოქალაქო მოსახლეობის გადაადგილების შესახებ, თუ ეს გამოწვეული არ არის სამოქალაქო პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნებით ან უკიდურესი სამხედრო აუცილებლობით. ამგვარი გადაადგილების აუცილებლობის შემთხვევაში მიიღება ყველა შესაძლო ზომა სამოქალაქო მოსახლეობის თავშესაფრის, ჰიგიენის, ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და კვების თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელ პირობებში მისაღებად.

2. დაუშვებელია სამოქალაქო პირთა იძულება დატოვონ საკუთარი ტერიტორია კონფლიქტთან დაკავშირებული მიზეზების გამო.

### **მუხლი 18 – დახმარების საზოგადოებები და დახმარების ოპერაციები**

1. მაღალი ხელშემკერედი მხარის ტერიტორიაზე მყოფ დახმარების საზოგადოებებს, ისეთებს, როგორცაა წითელი ჯვრის (წითელი ნახევარმთვარის, წითელი ღომისა და მზის) ორგანიზაციები, შეუძლიათ შესთავაზონ სამსახური შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა მიმართ თავისი ტრადიციული ფუნქციების შესრულების მიზნით. სამოქალაქო მოსახლეობას, საკუთარი ინიციატივითაც კი, შეუძლია შესთავაზოს დაჭრილთა, ავადმყოფთა და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილ პირთა შეგროვება და მოვლა.

2. თუ სამოქალაქო მოსახლეობა განიცდის უკიდურეს გაჭირვებას საარსებოდ აუცილებელი საშუალებების, როგორცაა სურსათი და სამედიცინო საშუალებები, მოწოდების უკმარისობის გამო, დაინტერესებული მაღალი ხელშემკერედი მხარის თანხმობით ტარდება სამოქალაქო მოსახლეობის დახმარების ოპერაციები, რომელიც მხოლოდ ჰუმანიტარულ და მიუკერძოებელ ხასიათს ატარებს და ყოველგვარი დისკრიმინაციული განსხვავების გარეშე ხორციელდება.

ნაწილი V  
დასკვნითი დეკლარაცია

**მუხლი 19 – გავრცელება**

წინამდებარე ოქმი რაც შეიძლება ფართოდ უნდა გავრცელდეს.

**მუხლი 20 – ხელმოწერა**

წინამდებარე ოქმი კონვენციების მონაწილე მხარეთა მიერ ხელმოსაწერად ღია საბოლოო აქტის ხელმოწერიდან ექვსი თვის შემდეგ და დარჩება ღიად თორმეტი თვის განმავლობაში.

**მუხლი 21 – რატიფიკაცია**

წინამდებარე ოქმის რატიფიცირება რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს. სარატიფიკაციო სიგელები დეპონირებული უნდა იყოს შვეიცარიის ფედერალურ საბჭოსთან, კონვენციების დეპოზიტართან.

**მუხლი 22 – მიერთება**

წინამდებარე ოქმი მისაესაერთებლად ღია კონვენციების მონაწილე ნებისმიერი მხარისათვის, რომელსაც მასზე ხელი არ მოუწერია. მიერთების აქტი დეპონირებული უნდა იყოს დეპოზიტართან.

**მუხლი 23 – ძალაში შესვლა**

1. წინამდებარე ოქმი ძალაში შედის ორი სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების აქტის დეპონირებიდან ექვსი თვის შემდეგ.

2. კონვენციების მონაწილე თითოეული მხარისათვის, რომელიც შემდგომში მოახდენს წინამდებარე ოქმის რატიფიცირებას ან შეერთებას, ის ძალაში შედის ამ მხარის მიერ მისი სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების აქტის დეპონირებიდან ექვსი თვის შემდეგ.

**მუხლი 24 – შესწორებები**

1. ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია წინამდებარე ოქმში შესწორებების შეტანის შეთავაზება. ყოველი შეთავაზებული შესწორების ტექსტი გაეზახანება დეპოზიტარს, რომელიც ყველა მაღალ ხელშემკვრელ მხარესთან და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან კონსულტაციების შედეგად გადაწყვეტს, მოიწვიოს თუ არა კონფერენცია შეთავაზებული შესწორების განსახილველად.

2. დეპოზიტარი ამ კონფერენციაზე მოიწვევს ყველა მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, და ასევე კონვენციების მონაწილე მხარეებს, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი წინამდებარე ოქმზე ხელმომწერნი.

**მუხლი 25 – დენონსაცია**

1. იმ შემთხვევაში, თუ მაღალი ხელშემკვრელი მხარე მოახდენს წინამდებარე ოქმის დენონსაციას, დენონსაცია ძალაში შედის მხოლოდ შეტყობინების მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ. თუმცა, თუ ამ ექვსი



თვის ამოწურვამდე მხარე, რომელმაც დენონსაციის შესახებ განაცხადა, აღმოჩნდება პირველ მუხლში მითითებულ ვითარებაში, დენონსაცია ძალაში შედის შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ. პირები, რომელთაც თავისუფლება აღკვეთილი ან შეზღუდული აქვთ კონფლიქტთან დაკავშირებული მიზეზების გამო, მაინც აგრძელებენ წინამდებარე ოქმის დებულებებით გათვალისწინებული მფარველობით სარგებლობას მათ საბოლოო გათავისუფლებამდე.

2. დენონსაციის შესახებ შეტყობინება წერილობითი ფორმით გაეგზავნება დეპოზიტარს, რომელიც ამ შეტყობინებას ყველა მაღალ ხელშემკვრელ მხარეს დაუგზავნის.

### **მუხლი 26 – შეტყობინებები**

დეპოზიტარი მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს და კონვენციების მონაწილე სახელმწიფოებს, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი წინამდებარე ოქმის ხელმომწერნი, ატყობინებს:

(ა) 21-ე და 22-ე მუხლების შესაბამისად წინამდებარე ოქმზე გაკეთებული ხელმოწერების, დეპონირებული სარატიფიკაციო სიგელებისა და შეერთების აქტების შესახებ;

(ბ) 23-ე მუხლის თანახმად წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ; და

(გ) 24-ე მუხლის თანახმად მიღებული შეტყობინებებისა და განცხადებების შესახებ.

### **მუხლი 27 – რეგისტრაცია**

1. ძალაში შესვლის შემდეგ, წინამდებარე ოქმი დეპოზიტარის მიერ იგზავნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად სარეგისტრაციოდ და გამოსაქვეყნებლად.

2. დეპოზიტარი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს შეატყობინებს წინამდებარე ოქმთან დაკავშირებით მიღებული ყველა რატიფიკაციის სიგელისა და შეერთების აქტის შესახებ.

### **მუხლი 28 – ავთენტური ტექსტები**

წინამდებარე ოქმის დედანი, რომლის არაბული, ჩინური, ინგლისური, ფრანგული, რუსული და ესპანური ტექსტები თანაბრად ავთენტურია, დეპონირებული უნდა იყოს დეპოზიტართან, რომელიც კონვენციების ყველა მონაწილე მხარეს ოქმის დამოწმებულ ასლებს გადასცემს.